## 15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი დაიწყო, გილოცავთ!

# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №17(127) 2016 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

### ახალი სასწავლო წლიდან

## ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში



**ახალი** 2016-2017 სასწავლო წლის დასაწყისისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 26 საჯარო და 2 კერძო სკოლაა. 15 სექტემბერს სასწავლო წლის პირველ დღეს სწავლა ყველა საჯაროი სკოლაში განახლდა გარდა ლამბალოს საჯარო სკოლისა, სადაც მიმდინარეობს ჩვენს რეგიონში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ახალი სასწავლო სკოლის შენობის მშენებლობა. იგი დასრულების პროცესშია და სავარაუდოდ ოქტომბრის დასაწყისისათვის დასრულდება.

ახალი სასწავლო წლისათვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში **9455 მოსწავლე** ირიცხება, მათგან **698 პირველკლასელია, 403 კი – მეთორმეტეკლასელი.**

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პედაგოგთა საერთო რაოდენობა **853**-ია, საიდანაც სერთიფიცირებულია **214**.

ახალი სასწავლო წლიდან 4 საჯარო (იორმუღანლოს, ლამბალოს, საგარეჯოს №1 და №4) სკოლებში მოსწავლეთა უსაფრთხოებას დაიცავს **მანდატურის სამსახური.**

საგარეჯოს I, IV, გიორგიწმინდის და მანავის საჯარო სკოლებში იფუნქციონირებს **სამედიცინო კაბინეტები** კვალიფიციური ექიმებით.

ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელებსა და მათ პედაგოგებს **გადაეცათ კომპიუტერები**. ასევე, **უფასოდ გადაეცათ სახელმძღვანელოები**.

ყველა საჯარო სკოლა აღჭურვილია ახალი **მერხებითა და სკამებით.**

ზაფხულის არდადეგებზე ნახევრად **სარეაბილიტაციო სამუშაოები** ჩაუტარდა **თოხლიაურის, მანავის, ბადიაურის, გომბორის და საგარეჯოს IV საჯარო სკოლებს.**

ყველა პედაგოგი ჩართულია პროფესიული განვითარების სქემაში და 2017 წლის დასაწყისიდან იგეგმება მათი ხელფასების ზრდა.

## გილოცავთ!



**ახალი** 2016-2017 სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, მათ პედაგოგებს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელებსა და მათ აღმზრდელებს, მშობლებს.

ყოველწლიურად იზრდება საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ტექნიკურ-მატერიალური მხარე, შენდება, მშვენდება, ფართოვდება და კეთილეწყობა შენობები. უფრო და უფრო მეტი ინტერესით ეკიდება სწავლის პროცესს თითოეული მოსწავლე, კვალიფიკაციის ამაღლებას ცდილობს პედაგოგი. სკოლებში წარმატებით ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროექტები, იკვეთება ახალი ამოცანები, იხვეწება ახალგაზარდების გემოვნება. საოცარ ინტელექტს ამჟღავნებენ ჩვენი უფროსკლასელები ინტელექტუალურ თამაშებში, თუმცა მათ არც უმცროსკლასელები ჩამორჩებიან. მათ აღზრდას, ცოდნის გაღრმავებას, მეცნიერული კვლევებისათვის უნარ-ჩვევების დაუფლებას კი სერთიფიცირებული, მაღალკვალიფიციური პედაგოგები ემსახურებიან.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებით, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს, – მოიპოვეს გრანტი და მეტი შემართებითაც შეუდგებიან სწავლას.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

გამარჯვებები, წარმატებები არ მოგკლებოდეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებს, პედაგოგებს, აღსაზრდელებს, აღმზრდელებს, სტუდენტებს.

*ფრიდონ ბურდული,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;***
*გიორგი გზირიშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი.***

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი



**6 სექტემბერი, 2016 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ. თათბირზე „რთველი-2016“-ის წინასამზადისზე და მისი ორგანიზებულად მიმდინარეობის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა ***ღვინის ეროვნული სააგენტოს უფროსმა*** **გიორგი სამანიშვილმა**. მან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს სოფლებში კიდევ ერთხელ შეახსენა რთველთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი, წარადგინა **საგარეჯოში „რთველი-2016“-ის შტაბის უფროსი ზურაბ ასათიანი** და უპასუხა გამგებლის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს. როგორც გაირკვა, საქართველოში მიმდინარე რთველში მონაწილეობის მისაღებად 100-ზე მეტი ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელი ქარხანა დარეგისტრირდა. ამასთან, ყურძნის შესყიდვაზე იმუშავებს კერძო სექტორიც. როგორც მან აღნიშნა, სახელმწიფო სრულ მზადყოფნაშია – ფერმერს, გლეხს არ დარჩეს არც ერთი მტევანი ვენახში. თათბირზე აღინიშნა ისიც, რომ წელს ყურძნის მოსავალი კახეთში წინა წლებთან შედარებით დიდი არ არის – რამდენჯერმა მოსულმა სეტყვამ და შემდეგ ჭრაქმა მნიშვნელოვნად დააზიანა ყურძენი. ამიტომ მთელი ყურადღება გადატანილი იქნება ყურძნის შაქრიანობაზე – მისი მაჩვენებელი მინიმუმ 19 გრადუსი მაინც უნდა იყოს.

თათბირზე მისმა მონაწილეებმა დაწვრილებით კიდევ ერთხელ მიმოიხილეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში მოსალოდნელი ყურძნის მოსავლიანობის საკითხი.

## როგორია მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება?!

# ხორციელდება მთელი რიგი პროექტები



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 აგვისტოს სხდომაზე მოსმენილ და განხილულ იქნა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა*** **თინათინ ძაბილაშვილმა** წარმოადგინა. როგორც ქ-ნმა თინათინმა აღნიშნა:

– **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის 2016 წლის 6 თვის ბიუჯეტის ***საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 89%–ით*** (გეგმა 4 631 773 ლარი, ფაქტი 4 100 183 ლარი), ***საკუთარი სახსრები 69%-ით,*** (გეგმა 71 930 ლარი, ფაქტი 49 364 ლარი).

**საგასავლო ნაწილის** საკუთარი სახსრების ჩათვლით შესრულდა 80%–ით (გეგმა 5 707 442 ლარი, ფაქტი 4 562 633 ლარი); **საბიუჯეტო სახსრები** ფონდების გარეშე შესრულდა 90%-ით (გეგმა 3 975 845 ლარი, ფაქტი 3 559 541 ლარი); საკუთარი სახსრები შესრულდა 70%-ით (გეგმა 71 930 ლარი, ფაქტი 49 364 ლარი); **სხვა დონის ბიუჯეტით** გათვალისწინებული **სპეციალური ტრანსფერი** შესრულდა 6%-ით (გეგმა 180664 ლარი, ფაქტი 10460 ლარი); **სხვა დონის ბიუჯეტით** გათვალისწინებული **მიზნობრივი ტრანსფერი** შესრულდა 89%-ით (გეგმა 104938 ლარი, ფაქტი 93246 ლარი); **სხვა დონის ერთეულის ფონდიდან** გამოყოფილი **ტრანსფერი** შესრულდა 61%-ით (გეგმა 1331614 ლარი, ფაქტი 809 354 ლარი).

აღსანიშნავია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებული იქნა 2015 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილებით მიმდინარე წლის 1 ივლისამდე 5-ჯერ მოხდა ცვლილებების შეტანა.

ცვლილება შეეხო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე გადასახდელების ნაწილს და საბოლოოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 3 710 233 ლარით და შეადგინა 11 210 233 ლარი. კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 6 თვის განმავლობაში დამტკიცებულთან შედარებით **გაიზარდა**:

1) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების საფუძველზე **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფელ ხაშმში** სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელის რეაბილიტაციისთვის (252367 ლარი), **ქ.საგარეჯოში დოდაშვილის ქუჩაზე** ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (180680ლარი), სოფელ **პატარა ჩაილურში** სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობისთვის (139600ლარი), **სოფელ შიბლიანში** მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (355015ლარი), **ქ.საგარეჯოში ქეთევან წამებულის ქუჩაზე** ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (319180ლარი), **ქ.საგარეჯოში წერეთლის ქუჩაზე** ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (181924ლარი), **ქ.საგარეჯოში ქურდიანის ქუჩაზე** ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (41714ლარი), **ქ.საგარეჯოში ჯანგულაშვილის ქუჩაზე** ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (81662ლარი), **სოფელ ბადიაურის** საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის (84549ლარი), **ქ.საგარეჯოს №3 საბავშვო ბაღის** რეაბილიტაცია (66581ლარი), **სოფლების დუზაგრამა-თულარის** დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (811727ლარი) **გამოყოფილი** 2 514 999 ლარით;

2) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე **სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" გამოყოფილი** 1 082 163 ლარით;

3) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით** 215 244,79 ლარით;

4) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით** 30091,27 ლარით;

5) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით** 150 572,94 ლარით;

6) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში **განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით** 425 608,1 ლარით;

7) **სხვა შემოსავლების გეგმა** დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 13591 ლარით ( შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები).

ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 2 226 630,02 ლარს.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს, **მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები** დამტკიცებულთან შედარებით **შემცირდა** 82 395 ლარით;

**მათ შორის:**

– მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები შემცირდა 11675 ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები შემცირდა 57260 ლარით;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის ხარჯები გაიზარდა 5 499 773 ლარით;

– გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა–შენახვის ხარჯები გაიზარდა 2 765 536 ლარით;

– დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 29400 ლარით;

– ხევების, კალაპოტების გამაგრება-გაწმენდა შემცირდა 18044 ლარით;

– დაფინანსდა შპს „საგარეჯო" 51400 ლარით;

– წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაციის დაფინანსება გაიზარდა 1 479 064 ლარით;

– 287 681 ლარით გაიზარდა გარე განათების რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის ხარჯები;

– აიპ„ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევა"-ს დაფინანსება გაიზარდა 30000 ლარით;

– დაიგეგმა სკვერების, დასასვენებელი პარკების, მოსაცდელების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები 105 309 ლარით;

– მინი–სტადიონებისა და სპორტდარბაზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ღონისძიებები გაიზარდა 26189 ლარით;

– კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები გაიზარდა 479973 ლარით;

– სანიაღვრე არხების აღდგენის დაფინანსება გაიზარდა 104323 ლარით;

– სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით დაფინანსდა 158 943 ლარით.

– საგანმანათლებლო ღონისძიებებზე გასაწევი ხარჯები გაიზარდა 197855 ლარით, რაც გამოწვეულია არაფინანსური აქტივების ზრდის დაგეგმვით – 304812 ლარი;

– სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 31705 ლარით; (რაც გამოწვეულია დაფინანსების გაზრდით: სპორტული ღონისძიებების – 35324 ლარით, აიპ „№105 კომპლექსური სპორტსკოლის" ხარჯების – 5000 ლარით, შემცირდა აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" ხარჯები 35299 ლარით. კულტურული ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება გაიზარდა 26720 ლარით.

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები გაიზარდა 28694 ლარით, გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდა.

– **საშემოსავლო ნაწილის** შესრულება **შემოსავლის ცალკეული სახეების** მიხედვით ასეთია:

– საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულდა 83%-ით და შეადგენს 292736 ლარს;

– ქონების გადასახადის გეგმა შესრულდა 132%–ით და შეადგენს 1 050 026 ლარს;

**მათ შორის:**

ა) საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა 2071%–ით და შეადგინა 869700 ლარი;

ბ) ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა 4%–ით;

გ) სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შესრულდა 24%–ით და შეადგენს 165057 ლარს;

დ) არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შესრულდა 33%–ით შეადგენს 14691 ლარს;

– სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები **გრანტების გეგმა** შესრულდა 80%–ით, კერძოდ, **გათანაბრებითი ტრანსფერი** მიღებულია 1 275 000 ლარი, **მიზნობრივი ტრანსფერი** დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 105 000 ლარი, კაპიტალური ტრანსფერი -556943 ლარი;

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 68%–ით, (გეგმა 996157ლარი, ფაქტი 679926 ლარი);

კერძოდ:

– შემოსავალი პროცენტებიდან შემოსულია 54279 ლარი (გეგმის 155%).

რენტა შესრულდა 82%-ით, (გეგმა 351400 ლარი, ფაქტი 288280 ლარი);

– მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის – შემოსულია 274942 ლარი;

ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 121%–ით (გეგმა 48 000 ლარი, ფაქტი 58198 ლარი);

გ) ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელები 130%–ით (გეგმა 43000 ლარი, ფაქტი 56050 ლარი);

დ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 43%–ით და შეადგენს 2148 ლარი;

ე) ჯარიმები, სანქციები და საურავები 51%–ით (გეგმა 548166 ლარი, ფაქტი 278520 ლარი);

– არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 281%–ით, კერძოდ შემოსულობა მიწის გაყიდვიდან გეგმა 50000 ლარი, ფაქტი 140552 ლარი;

**საგასავლო ნაწილის შესრულება ასეთია:**

– მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 1 092 578 ლარი, ანუ გეგმიური 1 153 079 ლარის 95%.

– თავდაცვის ხარჯებმა შეადგინა გეგმიური 56610 ლარის 85%, ანუ 48070 ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსდა გეგმიური 2 286 933 ლარის 63.5%–ით ანუ 1 451 843 ლარით. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 77.5%-ით (გეგმა 878109 ლარი, ფაქტი 679701 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი შესრულდა 6%-ით (გეგმა 180664 ლარი, ფაქტი 10460 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 61%-ით (გეგმა 1185711 ლარი, ფაქტი 721015 ლარი).

– კერძოდ, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა შენახვის ხარჯებმა შეადგინა გეგმიური 697890 ლარის 40%, ანუ 278765 ლარი:

– კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდა 1 087 199 ლარი (75%) ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 1448433 ლარისა. მათ შორის:

წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებებს მოხმარდა 620906 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 72.2% (გეგმა 859836 ლარი).

– ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის მიერ გახარჯულია 90344ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 94%.

– გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 143973 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 73%.

– გარემოს დაცვითი ღონისძიებები დაფინანსდა 231976 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 79%.

– სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით დაფინანსდა 3241 ლარი (47%) -დაფინანსებულია წინა წელს განხორციელებული სამუშაოების ვალდებულებები;

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაიხარჯა 82639 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 62%,.

– სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაციის კუთხით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 20309 ლარი.

– საგანმანათლებლო ღონისძიებები დაფინანსებულია 86,4%–ით (გეგმა 1 097 059 ლარი, ფაქტი 948 202ლარი).

– სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები დაფინანსებულია 91,2%–ით (გეგმა 684702ლარი, ფაქტი 624692 ლარი), მათ შორის სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 319544 ლარი, გეგმიურის 92%, კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 288541 ლარი, გეგმიურის 93%, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 5178 ლარი, გეგმიურის 45%, საგამომცემლო საქმიანობაზე დაიხარჯა 11428 ლარი, გეგმიურის 91%.

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსდა 93%–ით (გეგმა 429 058 ლარი, ფაქტი 397 247 ლარი); აქედან უფასო სასადილოები დაფინასდა 75 719 ლარით (84%) (230 ბენეფიციარზე);

– საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 47657 ლარით (95%); სოფლის ამბულატორიების მომსახურება დაფინანსდა 3214 ლარით (52%),.

– უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 220165 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 99,8%-ით;

– ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1300 ლარით (გაცემულია 13 ოჯახზე);

– მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1400 ლარით (გაცემულია 14 ბენეფიციარზე);

– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 6800 ლარით (გაცემულია 70 ბენეფიციარზე);

– ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა დაფინანსდა 5645 ლარით (100%).

– ვეტერანთა დახმარებისა და დაკრძალვის ხარჯები დაფინანსდა 3250 ლარი (11 ბენეფიციარი).

– სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაცია დაფინანსდა 15829 ლარით (27 ოჯახი);

– სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 13869 ლარით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯვა მუხლების მიხედვით ასეთია:

– შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 858 837ლარი (96%);

– საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა გეგმიური 765 675 ლარის 84,3% ანუ 645513 ლარი;

– პროცენტი შეადგენს 1581 ლარს (100%);

– სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა გეგმიური 1 665 649 ლარის 95% ანუ 1 581 864 ლარი;

– გრანტები შეადგენს 14933 ლარს (100%);

– სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 97,3%–ით (გეგმა 255290ლარი, ფაქტი 248477 ლარი);

– სხვა ხარჯები შეადგენს გეგმიური 90310 ლარის 80% ანუ 72028 ლარს;

– არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა გეგმიური 1 997 544 ლარის ნაცვლად 1 116 760 ლარით, ანუ 56%–ით.

– ვალდებულებების კლებამ შეადგინა 18214ლარი (99,9%).

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 6 თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 42449 ლარი, გახარჯულია 40668 ლარი, მათ შორის ზემოთ აღნიშნულ კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებზე გამოყოფილია 40763 ლარი, გახარჯულია 38982 ლარი (სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთების სამუშაოებზე და შეკეთებისთვის მასალების შეძენაზე), გზების გაწმენდაზე დაიხარჯა გამოყოფილი 1686 ლარი.

## სოფლის მეურნეობა

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

# სოფლის მეურნეობის განვითრების ხვალინდელი დღე

## გამოწვევები

## მოლოდინები

## და საერთაშორისო პრაქტიკა



**სასოფლო-სამეურნეო** დარგის კოოპერაციის საწყისებზე დაფუძნებული ინსტიტუციური მოწყობა მიმდინარე პერიოდში ყველაზე ეფექტიან სისტემას წარმოადგენს,რაც ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდას და ფერმერებისათვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის წარმოების საშუალებებს,უზრუნველყოფს მომსახურეობის და პროდუქციის რეალიზაციის გაუმჯობესებას. ***სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გააჩნიათ სიღარიბის დაძლევის საუკეთესო პლატფორმა***,კოპერაციის განვითარება აუმჯობესებს მოწყვლადი ჯგუფების,კოოპერატორ ქალთა და ახალგაზრდა ფერმერთა ჩართულობას სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე თუ, რამდენად ადეკვატური იქნება ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის საფუძველზე ფერმერების, წვრილ-გლეხური მეურნეობების პრაქტიკული რეაგირება.

მცირე ფერმერული მეურნეობები პირისპირ აღმოჩნდნენ იმ გამოწვევებთან,რაც დაკავშირებულია ბაზრების ლიბერალიზაციასა და გლობალიზაციასთან, მათ წარმოებული პროდუქციისადმი ხარისხის სულ უფრო მკაცრი მოთხოვნების გათვალისწინება მოუწევთ.

კოოპერატივების მეშვეობით ფერმერებს ქმედითი მექანიზმების შემუშავების შესაძლებლობა უჩნდებათ აღნიშნული სირთულეების დასაძლევად,ეს კი ხელს შეუწყობს მათ თანამედროვე საბაზრო ღირებულების დამკვიდრებაში,გაზრდიან თავიანთ სავაჭრო პოტენციალს.

კოოპერატიული ტიპის გაერთიანებები დასაბამს მე-18 საუკუნიდან იღებს.სოფლის მეურნეობაში შეკავშირების საჭიროებაზე ჯერ კიდევ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წერდა, „იქ სადაც თვითეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად."

კოოპერატივი არის კერძო ბიზნესის ფორმა, რომელსაც განკარგავენ და აკონტროლებენ კოოპერატივის წევრები,რომლებიც იმავდროულად სარგებლობენ მათ მიერვე მართული კოოპერატივის მომსახურეობით.

***კოოპერატივი წარმოადგენს თავისუფალი ბაზრის პირობებში მწირი ეკონომიკური ბაზისმქონე, დაბალკონკურენტუნარიანი კერძო საწარმოო ძალთა თავდაცვით რეაქციას მსხვილ და ძლევამოსილი კორპორაციული კაპიტალის საპირწონედ.***

კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს

– პროდუქციის რეალიზაციის გაუმჯობესებას;

– დანახარჯების შემცირებას წარმოებაზე;

– მოსავლიანობის გაზრდას;

–თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას;

–დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას სოფლად.

დღეს თანამედროვე მსოფლიოს კოოპერატიული სექტორი ითვლის 800 მილიონ წევრს 100-ზე მეტ ქვეყანაში და 100 მილიონ სამუშაო ადგილს.



სასურსათო წარმოების დაახლოებით 80%-ს განვითარებულ ქვეყნებში კოოპერატივები უზრუნველყოფენ.

***2013 წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ", რომლის თანახმადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ეს არის კოოპერატივის სტატუსით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი,რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ამავე კანონის საფუძველზე.***

***ამავე კანონის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (ს.ს.ი.პ.)– კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომლის მიზანიც ქვეყნის მასშტაბით ხელი შეუწყოს ახალი კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესს და უკვე არსებულის გაძლიერებას.***

2015 წლის 11 ნოემბერს აღნიშნულ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც შემოვიდა ასოცირებული წევრის ცნება და სტატუსი, ცვლილებები შეეხო სხვა საკითხებსაც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო კანონის მიხედვით უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სტატუსის მიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგს, სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გრანტის გაცემას.

***საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ფარგლებში ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაცია საქართველოში სწორედ ფერმერული მეურნეობების განვითარებაა, რისთვისაც ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის-ENPARD-ის ფარგლებში 2013-2016 წლებში 40 მილიონ ევროს მიიღებს,საიდანაც 18 მილიონი ევრო საბიუჯეტო დახმარების სახით გადაეცემა საქართველოს მთავრობას, აქედან 15 მილიონი ევრო გაიცა და გაიცემა გრანტების სახით მცირე ფერმერული ბიზნესზე ორიენტირებული ორგანიზაციების შესაქმნელად.***

მცირე მეურნეობის მქონე ფერმერების კოოპერატივებში გაერთიანების მხარდაჭერა ENPARD-ის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

ENPARD-ის მცირე ფერმერთა კოოპერაციის კომპონენტის ფარგლებში ევროკავშირის მიერ შერჩეული ოთხი კონსორციუმი –CARC, Merci corps,Oqfam და Pin,რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში.

ჩვენს მუნიციპალიტეში პროგრამას ახორციელებს Mercy corps-ი.

2016 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 32 კოოპერატივს***, აქედან ექვსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სარგებლობს მაღალმთიანი სოფლებისათვის განკუთვნილი შეღავათებით.

2014 წლიდან დღემდე ჩვენს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა მონაწილეობა მიიღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის განკუთვნილ როგორც სახელმწიფო, ასევე ENPARD-ის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში.

**კერძოდ:**

1. ოთხ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს სახელმწიფო პროგრამით მცირედი თანადაფინანსებით გადაეცათ ევროპული სტანდარტების **მოტობლოკები** თავისი აგრეგატებით.

2. სამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს სახელმწიფო პროგრამით 30%-იანი თანადაფინანსებით გადაეცათ **ფუტკრის სკები**, ამავე პროგრამის მეორე ეტაპში მონაწილეობა მიიღო მაღალმთიანი კოოპერატივის სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა „თაფლოვანმა" მას ასევე 30% თანადაფინანსებით გადაეცა ***ელექტრო ციბრუტი და თაფლის შესანახი ბიდონები.***



3. ერთი მე-2 დონის მაღალმთიანი კოოპერატივი „პალდოველი"მონაწილეობს რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამაში.

4. ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში „მერსი ქორფსისგან" გასულ წელს ორმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მოიპოვა გრანტი თითოულმა ***15 ათასი ევროს*** ოდენობით.

ამავე პროგრამით 2016 წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „უდაბნო მოლს" აქვს გრანტის მოპოვების შანსი (გადასულია პროგრამის ბოლო ეტაპზე).

2016 წლის 12 ივლისს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ,რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის შეღავათიან ფასად სხვადასხვა სიმძლავრის ტრაქტორების გადაცემას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა,რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უპირატესობა აშკარად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარეზეა.

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის მსურველებს დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ქ.საგარეჯო, დ.აღმაშენებლის ქ.№ 15. ტელ: 599-20-67-00
599-85-10-82**

*გივი მათიაშვილი,*

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი***

## როცა ალოობა დასრულდა

# როგორია თავთავიანების მოსავალი?

**აგვისტოს** ნახევრისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში დასრულდა 2016 წლის ალოობა. გარეკახელმა მიწათმოქმედებმა თავიანთი გარჯის ნაყოფი დააბინავეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამიონისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით მიმდინარე წლის მოსავლისავის ფერმერებს თავთავიანები დათესილი ჰქონდათ 7250 ჰექტარზე, აქედან საშემოდგომო ხორბალი 5430 და საშემოდგომო ქერი 1820 ჰექტარზე. გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მიმდინარე წლისათვის საშემოდგომო თავთავიანების ნათესი ფართობები გაზრდილი იყო 3350 ჰექტრით (შარშან იყო 3898 ჰა), აქედან ხორბლის – 2059 და ქერის – 1293 ჰექტრით. ყველაზე მეტი საშემოდოგომო თავთავიანები დათესილი იყო იორმუღანლოში (980ჰა),პატარძეულში – 840, საგარეჯოში – 730, ლამბალოში – 705, სათაფლეში – 650, მაშინ, როცა ეს კულტურები საერთოდ არ იყო დათესილი მუნიციპალიტეტის მთის ზონის: გომბორის, კოჭბანის, უჯარმის თემებში შემავალ სოფლებში.

რაც შეეხება წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მიღებულ თავთავიანების მოსავალს, მთლიანობაში გამოლეწილია 15600 ტონა მარცვალი, აქედან, ხორბალი – 11500 ტონა და ქერი – 4100. ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავალმა შეადგინა 2,1 ტონა, ქერისამ კი – 2,3 ტონა.

თავთავიანების ყველაზე მეტი მოსავალი წელს იორმუღანლოშია მიღებული – 1898 ტონა ხორბალი და 356 ტონა ქერი, 1440 ტონა ხორბალი და 242 ტონა ქერი მიიღეს ლამბალოში, პატარძეულში 1100 ტონა ხორბალი და 567 ტონა ქერი. საგარეჯოში მიღებულია 1276 ტონა ხორბალი და 360 ტონა ქერი და ა.შ.

წელს თავთავიანების ყველაზე მეტი მოსავლიანობა ვერხვიანში დაფიქსირდა. ქერისა და ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობით გამოირჩევა იორმუღანლოს ზონა, სადაც ხორბლის გამოსავლიანობამ 2,5 ტონა, ქერისამ კი 2,4 ტონა შეადგინა. ჰექტარზე საშუალოდ 2.4 ტონა ხორბალი აქვთ მიღებული დიდ და პატარა ჩაილურში, ლამბალოსა და მზისგულში; 2,3 ტონა – გიორგიწმინდაში, იორმუღანლოსა და ხაშმში, ყველაზე დაბალი მოსავალი კი მიღებულია უდაბნოში, სადაც ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 1,3 ტონა შეადგინა. ხორბალთან შედარებით კარგი მაჩვენებელია ქერში. აქ საშუალო საჰექტარო მაჩვენებელი ორი ტონის ქვემოთ არ სცილდება. გიორგიწმინდაში ეს მაჩვენებელი 2,5 ტონაა, საგარეჯოში, თოხლიაურში, კაკაბეთში, ბადიაურში – 2,4 ტონა, ხაშმში, მანავში, ყანდაურასა და იორმუღანლოში – 2,3 ტონა და ა.შ.



*გ. დაბახიშვილი*

# ინფრასტრუქტურა-2016
## მანავის თემი



**ჩვენს** მუნიციპალიტეტში ფართო სპექტრითაა გაშლილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით, რეგიონული განვითარების ფონდიდან და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებით აქ ათეულობით სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები დამთავრდა და მთელი რიგი სამუშაოების შესრულება ნაწილობრივ წლის ბოლომდეც გაგრძელდება.

– მუნიციპალტეტის თითქმის ყველა სოფელში დიდი ყურადღება მიექცა სასმელი წყლის სისტემის წესრიგში მოყვანას, გზების კეთილმოწყობას, გარე განათების გაკეთებას, რაც საბოლოო ჯამში აუმჯობესებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

– მანავში მგზავრთა ორი მოსაცდელი გაკეთდა – ე.წ. „ტურის უბანსა“ და სოფლის ადმინისტრაციულ შენობასთან. ორივე მოსაცდელის მოსაწყობად 15309 ლარი იყო გამოყოფილი.

– ზემო მანავში მინი სტადიონთან მოეწყო გარე-განათება, რაზედაც 3888 ლარი გაიხარჯა.

– ე.წ. „ტურის უბანში“მოხდა 200 მეტრ სიგრძეზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.

– ჩალაგდა წყალგამტარი რკინის ცხაურები ე.წ. „სირაძეანთუბანში“.

– ჩატარდა ტენდერი და გამოიკვეთა სამუშაოს შემსრულებელი ორგანიზაციები, რომლებიც **უახლოეს ხანში დაიწყებენ:**

– სოფლის სასაფლაოს შემოღობვას,

– მანავის №1 სკოლამდელი დაწესებულების სახურავზე წყლის გამტარი მილების დაყენებას;

– მანავის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბურდიანის დასახლება) შენობის რეაბილიტაციას;

– ზემო ბურდიანში სასმელი წყლის მილების რეაბილიტაციას.













„შენი დვრიტა ვარ, დედულ-მამულო!...“

# ისინი წარმატებულნი არიან

## „მეჩემ-მეამაყები“

## „მომეცით ნატვრის უფლება“



**ნინო ბუზარიაშვილი საგარეჯოს III საჯარო სკოლის მერვეკლასელია. ჯერ სკოლაშიც არ იყო მისული, წერა-კითხა დამოუკიდებლად ისწავლა... შემდეგ კი პატარ-პატარა ნააზრევს ქაღალდს ანდობდა... ნელ-ნელა მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება, ცოტა მოგვიანებით, დედამაც, ფიზიკოს-ლირიკოსმაც რატომღაც თავდაპირველად სერიოზულად არ მიაჩნდა ნინოს ნაწერები. იქნებ იმიტომაც, რომ უფრო მეტს ითხოვდა დედის გული, პროფესიით პედაგოგი...**

**ნინოს ნაწერები კი ყველას მოსწონდა... სკოლაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, გაზეთის რედაქციაში...**

**გაზაფხულზე ნინომ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში შემოქმედ მოსწავლეთა ლიტერატურულ კონკურსში „კალმოსანი“ გაიმარჯვა... სულგანაბული უსმენდა ნინოს დარბაზი... შემდეგ იყო შეფასებები, მილოცვები...**

**ნინოს ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით ვულოცავთ ამ გამარჯვებას და კვლავაც ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ. გვინდა თქვენც გაგაცნოთ ნინო ჩვენი გაზეთის მკითხველებს.**

**მხოლოდ ერთს გეტყვით, „გარეჯის მაცნეს“ ძვირფასო მკითხველო, – ნინოს წერის მანერა უჩვეულო, იდუმალია, მაგრამ როცა გაეცნობი მის შემოქმედებას, მხოლოდ ერთს იტყვი – ნინო, შენ მეჩემ-მეამაყები...**

***– ვინ ხარ ? როგორ დაახასიათებ ნინო ბუზარიაშვილს ?***

– დიდად არ მიყვარს და არც მეხერხება ჩემზე საუბარი... მხოლოდ იმას ვიტყვი, ჩემი დახასიათება ნებისმიერ თქვენთაგანს შეუძლია. ერთი შეხედვითაც კი არ გაუჭირდება წარმოადგინოს ჩემი ცუდი და კარგი მხარეები. სხვებივით ვფიქრობ , ვფიქრობ რომ მართლაც ვარ წყნარი, მაგრამ ამ სიწყნარეში ზოგჯერ განმგმირავი სევდა იმალება ... რომ გტეხს, ნაწილებად გშლის და უფრო კარგად წარმოაჩენს ხოლმე ჩემს პიროვნებას ... სუსტი ვარ ... ზოგჯერ მშიშარაც, მაგრამ ნებისმიერ სირთულეს, მედგრად ვუდგები , ნებისმიერ საკითხს ორ აზროვნად ვიაზრებ და ვაკვირდები ჩემს თითოეულ ნაბიჯს ... არ ავცდე გზას , არ დავეცე ვიღაცეების თვალში, ისედაც ცოდვილი.

***– რას ნიშნავს შენთვის -ხარ ქართველი, მართლმადიდებელი, დაბადებული საქართველოში...***

– საქართველოში ჩემი მოდგმაა, ჩემი მთელი ოჯახის და წინაპრების ... უწინ, ახლაც და მომავალშიც ქართველობას ვერა და ვერაფერი წაგვართმევს... ბევრჯერ აოხრდა, გაცამტვერდა მტრების ხელით ჩვენი საქართველო, მაგრამ არ დავეცით, არ გადავშენდით, რადგან მოგვდგამს ყველა ქართველს ძლიერი სული ...

იწამო ღმერთი, იწამო ყოველივე მისი ქადაგება, შეიყვარო და პატივი სცე საღვთო წიგნს, რომელიც ბიბლიაა, ეს ყოველივე ნიშნავს, რომ მართმადიდებელი ხარ, მაგრამ არა სრულყოფილი, რადგან ათი მცნებიდან თუ დაუკვირდები – ერთ-ერთი მაინც ცოდვაში მოგდგამს.

***– ქართული ტრადიციებიდან შენთვის მისაღები და მიუღებელი...***

– საქართველო უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების ქვეყანაა. სწორედ, რწმენასთან ერთად ტრადიციულობამაც გადაგვარჩინა გარკვეულწილად.ქართული ტრადიციების შესახებ საქართველოში ჩამოსული ყველა სტუმარი აღფრთოვანდება. საქართველოს ახასიათებს გარკვეული კულტურული ნიშნები, რომელსაც ყველა აქ მცხოვრები ცნობს, მაგალითად, სტუმართმოყვარეობა, მეგობრობისა და ოჯახისადმი ერთგულება. ჩემთვის მისაღებია ნებისმიერი ქვეყნის ეთნოსი, ნებისმიერი ადამიანის ეროვნება.. მე ვფიქრობ, რომ უნდა შევინარჩუნოთ წმინდა ქართული ოჯახები, რათა ჩვენი გენი და ჯიში არ გადაშენდეს... მიუღებლად მიმაჩნია ქალისა თუ მამაკაცის ოჯახური ფიცის ღალატი და ერთსქესიანთა ქორწინება, რაც ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელია.

***– ვამბობთ-ქართული სული, როგორ ამიხსნი , რა არის ქართული სული ?***

– ქართული სული ეს საამაყო წოდებაა, ქართული სული მაინც სულ სხვაა – სული წმინდა, სული უტეხი ...

***– რას ვერ აპატიებ ადამიანს...***

– „ადამიანი ადამიანობის ადამიანობით ადამიანობს, „ნათქვამია ადამიანები ერთმანეთს გვანან, მაგრამ არა ისე, რომ ვერ გაარჩიო ვის სურს შენთვის კარგი და ვის არა ... ჯერ იქიდან დავიწყოთ, რომ რა არის ადამიანი ? ადამიანი ეს ქმნილებაა, ისეთი ქმნილება, ზოგი ღმერთის თვალებით რომ იყურება ზოგიც კი ეშმაკის ... ამიტომ, როგორც ღმერთს აქვს პატიების უფლება, ისე ჩვენც უნდა ვაპატიოთ ნებისმიერი დანაშაული, უფლება არ გვაქვს განვსაჯოთ, შევურაცხყოთ ჩვენივე საქციელითა თუ სიტყვებით ადამიანები... რადგან ვის არ ჩაუდენია უპატიებელი დანაშაული, მაგრამ ღმერთი რომ ღმერთია, ისიც გვპატიობს, ამიტომ ჩვენ ვინ ვართ, რომ წინ აღვუდგეთ მის გადაწყვეტილებას... ღმერთია უდიდესი მსაჯული ამა ქვეყნისა...

***– 50 წლის წინ რომ დაბადებულიყავი, როგორ იცხოვრებდი დღეს?***

– თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ რა ხდებოდა 50 წლის წინ და რა ხდება ახლა, სრულიად განსხვავებულად მოგვეჩვენება ჩვენი ცხოვრება წარსულთან შედარებით, შესაძლებლობა, რომ მომცემოდა აუცილებლად ვიცხოვრებდი ... გავეცნობდი იმ დროინდელ ყოფას, მაგრამ ახლაც ბედნიერი ვარ, რადგან დღევანდელობაშიც შემიძლია წავაწყდე იმას, რაც წარსულში შემეძლო მეპოვა... ეს რა თქმა უნდა, სიყვარულია !!!

***– როგორ წარმოგიდგენია, რა იქნება 50 წლის შემდეგ დედამიწაზე... შენი აზრით, რა ამოძრავებს დედამიწას?***

– სამწუხაროდ, მომავლის განჭვრეტა , არაა ჩემი საქმე, მხოლოდ უფალი აგებს მასზე პასუხს და მას უნდა მოვკითხოთ რა მოხდება დღეის შემდეგ...

მაგრამ, წარმოსახვით, დღევანდელი რეალობით უფრო თუ ვიმსჯელებ, მოსალოდნელია, რომ აღარ ვიარსებოთ, რატომ ? ახლავე მოგახსენებთ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ „ნაწინასწარმეტყველებია“ გურამ დოჩანაშვილის არაჩვეულებრივ ნაწარმოებში „სამოსელი პირველში“, ამიტომაც დღეს დღეობით სიყვარული სიძულვილმა ჩაანაცვლა. ვფიქრობ, ჩვენს დროში უფრო მეტი სიძულვილი მოიძებნება, ვიდრე ერთმანეთის სიყვარული... დედამიწა ვეღარ ტრიალებს ისე კარგად, როგორც უწინ ... დედამიწას გარდა სიყვარულისა, სამყაროს, ბუნების ამოუცნობი კანონები ატრიალებს. მათ ჩვენ ვცვლით და ჩვენივე ხელით ვწყვეტთ ჩვენივე არსებობას. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, ამიტომ მომეცით ნატვრის უფლება, რომ დედამიწამ იტრიალოს თავისი ღერძის გარშემო სიყვარულით და არასდროს დაუდგეს აპოკალიპსი, მაგრამ „ბუნება მბრძანებელია“ ...

**ნინოს სიტყვის თავისუფლება მივეცით. ვთხოვეთ ესაუბრა იმ გზაზე, რომელიც ჯერ კიდევ პატარა, მაგრამ წარმატებული ნაბიჯებით მიუყვება.**

### “ის ლურჯი დღეები და ბავშობის მზე...“

– **პირველივე** გვერდზე ამობეჭდილი ფრაზა, ანტონიო მაჩადორის უკანასკნელი სიტყვები და ამავე ფრაზით დაწყებული ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მწერლის დათო ტურაშვილის ნაწარმოები „ჯინსების თაობა“ , რომელიც , ზოგისთვის გმირულ და ზოგისთვის დამნაშავე ხალხის საბჭოთა კავშირის დროინდელ ისტორიას შეეხებოდა სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე ...

აქედანვე დაიწყო ჩემი სიყვარული წიგნისადმი, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა რომ, როცა არ ელი ადამიანი, რომ შეძლებ გააკეთო ის, რაც შეუძლებლად გეჩვენება, მაშინ უფრო მეტი ძალა გემატება და ძალის მეშვეობით, რაღაც ამოუცნობის დახმარებით ცდილობ აიღო თუნდ გაკეცილი , დახეული ფურცლების გროვა , კალამი მონახო და დაიწყო წერა, წერა თინასა და გეგას სიყვარულზე ...

***

**ვუძღვნი “ჯინსების თაობას”**

(გეგა კობახიძეს და თინა ფეტვიაშვილს)

გავფრინდეთ ცისკენ,
ვნახოთ ცის სამყარო,
წავიდეთ მისკენ -
ბოროტი სულები გავყაროთ.
უსასრულოდ ვნახოთ
ცაზე ვარსკვლავები...
უფალი გველოდება ჩვენ ორს...
გელოდები...

ვასრულებ წერასა და ერთი სული მაქვს დედის კალთაში მოვკალათდე და ჩემი ორად მოკეცილი ფურცელი ხელებში მივაჩეჩო და გადავაკითხო ... კითხულობს, აღტაცებას ვერ მალავს , მკოცნის, მეფერება. რას ამბობდა მაშინ , მაშინ უწინავე წარსულში აღარ მახსოვს , რადგან ცუდად ვიმახსოვრებ ბედნიერ წუთებს , მაგრამ უბედურებისა კი რა გითხრათ, რა მოგახსენოთ, ის კი უფრო ცხადად მამახსოვრდება ...

როგორც გითხარით, აქედან დაიწყო – მეთქი ყველაფერი, მაგრამ არა !! უწინ იქ სადღაც, როცა არც წესიერად შემეძლო მეაზროვნა, ცხოვრება შემეფასებინა და დამოუკიდებლადაც არ შემეძლო დედისთვის ხელის გაშვება და ნაბიჯების გადადგმა , მაშინაც ვფიქრობ დედას ვბაძავდი, მინდოდა მასავით მეც შემძლებოდა ლექსების შეთხზვა ... მახსოვს ავიღებდი ფურცელსა და კალამს, ვჯდებოდი სკამზე, თავს ვხრიდი და თან ვფიქრობდი ... ვფიქრობდი იმაზე, როგორ შემეძლო დამეწყო წერა... ვწერდი, ვშლიდი, ისევ ვწერდი და ასე გრძელდებოდა. ბოლოს ვჭმუჭნიდი. ზოგჯერ მთლიანად შევსებულ ფურცელს სანაგვეში მოვისროდი ... ვიცოდი ვერასოდეს გავხდებოდი „მწერალი“. ყველაზე დიდ ძალას დედაჩემი მმატებდა მისი ლექსების მოსმენისას მემატებოდა ძალა , ზოგჯერ იმედგაცრუებაც მიპყრობდა, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდი – ვცდილობდი დამეწერა ჩემი სატკივარი, სიხარული, ბედნიერება და ზოგჯჯერ მაინც შესაძლოა ითქვას, რომ ჩემს მიზანს ვაღწევდი .

არ იცი ბედისწერა რას გიმზადებს , თორემ თავიდანვე მოემზადებოდი , შეეწყობოდი და როცა ბედისწერა კარზე მოგიკაკუნებდა, სიხარულით შეხვდებოდი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, როცა უფრო მეტად იზრდები, ყალიბდები ადამიანად, უფრო მეტი საზრუნავი, საქმე, ფიქრი, შესაძლოა სატკივარიც გემატება ... რა მაწერინებდა და მაწერინებს ლექსებს!? ალბათ წუთებში განცდილი ბედნიერება, ტკივილი და სიხარული ...

**მახსოვს**, ბევრჯერ გამითენებია ღამე , ბევრჯერ გავუთენებივარ ღამესაც და ბევრჯერაც ავმდგარვარ საწოლიდან, როცა რაიმე ფიქრი მომაწვებოდა და ამ ფიქრებს ფიქრებშივე ვაქცევდი ლექსად, ჩანახატად, მოთხრობად, მერე ვდგებოდი და ჩემი ოთახის კედლებს ვაწერდი ნაფიქრს , რომ არ დამვიწყებოდა მეორე დღეს გაღვიძებისას...

ახლაც ხდება ყოველივე ეს, მაგრამ ზოგჯერ ენერგიადაცლილს , გამოფიტულს მგონია მეორე დღეს გავიღვიძებ და ის ყოველივე გუშინდელი მემახსოვრება...

მამხნევებს სოციალრ ქსელში შემოსული უამრავი წერილები, რომლებიც ჩემი ლექსების , ჩანახატების გამოქვეყნების შემდეგ მომდის. დიდი სიყვარულით , პატივისცემით მესაუბრებიან და მომიხსენიებენ ... მახსოვს ამასწინათ დღესასწაულზე წერილი მომივიდა, თუ არ ვცდები ვალენტინობა იყო მწერდნენ: „ნინი გილოცავ სიყვარულის დღეს , მართალია ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ მე შენი პოსტებით ძალიან მიყვარხარ!!!“ გულს უხარია ხოლმე ასეთი სიტყვები. მადლობა ამისთვის ჩემო ერთგულო მკითხველო !

*დასასრული მე-6 გვერდზე*

## გზა, რომელსაც შენ მიჰყვები...



**მაშინ**, ხუთი წლის ასაკში ვერ აცნობიერებდა, რატომ ეუბნებოდნენ – შენ ოჯახის, ცალადდარჩენილი დედის იმედი ხარ... ოჯახის, რომელიც სულ 2 წევრისაგან შედგებოდა – დედა და ილია, ილია და დედა... დღეები თითქოს ერთმანეთს ჰგავდა, თუმცა, ერთმანეთს რატომ?! თანდათან იზრდებოდა და თუ ანალოგიაზე დაბრძანებულ ხატს ადრე თაყვანისსაცემად ვერ წვდებოდა, ან სასანთლეზე ასანთებად გამზადებულ სანთელს ვერ ამაგრებდა, თანდათან გრძნობდა, როგორ იზრდებოდა, ემატებოდა სიმაღლე და რაც მთავარია, ძლიერდებოდა უფლის მიმართ სიყვარული, პატივისცემა, მოკრძალება, რაღაცნაირი შიში... უყვარდა დედის სამსახურში ყოფნა, ამოირჩევდა წიგნს, მიჯდებოდა კუთხეში და მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში – ეცნობოდა ქალაქებს, მათ კულტურას... უამრავი ლიტერატურული გმირი გაიცნო, დაუმეგობრდა მწერლებს, პოეტებს... შეუმჩნევლად იჯდა ბიბლიოთეკაში ზოგჯერ ვერც კი ამჩნევდნენ კითხვაში გარინდებულს, მაგრამ ნელნელა შეამჩნიეს. თუმცა სკოლაში უფრო ადრე მიიპყრო ყურადღება – საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მასწავლებლებს აოცებდათ მისი ლექსიკური მარაგი, ნაკითხობა, გათვითცნობიერება თითქმის ყველა საკითხში, საკუთარი აზრის მკაფიოდ, ნათლად გამოთქმა, ჩამოყალიბება და დაცვა... ყველას თვალწინ იზრდებოდა, ყალიბდებოდა პიროვნებად. მონაწილეობდა თითქმის ყველა სასკოლო ღონისძიებაში, კონკურსებში, ვიქტორინაში, ოლიმპიადაში, კონფერენციაში...

პირველად IX კლასში იყო ისტორიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში რომ მიიღო მონაწილეობა. მაშინ II ადგილი დაიკავა საქართველოს მასშტაბით. ინტელექტთამაშში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და თანასკოლელებთან ერთად გამარჯვებებიც იზეიმა. 2014 წელს სატელევიზიო შემეცნებით კონკურსში „ეტალონშიც“ მიიღო მონაწილეობა და როგორც გამარჯვებული, ერთი წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაწესებულ ჯილდოს – 100 ლარს ყოველთვიურად იღებდა. შემდეგ იყო საქართველოს პარლამენტარის მიერ დაწესებული ჯილდო – ერთი წელი უფასო ინტერნეტით სარგებლობა. იყო ბაქსვუდის წყნეთის ბანაკის მონაწილე, სადაც გაიცნო საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები... გასულ წელს სამოქალაქო განათლების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გაიმარჯვა (პედაგოგი თამარ ქურდოვანიძე), წელს კი ამ ოლიმპიადის გამარჯვებული (აბიტურიენტის რთული გზის გავლის შემდეგ), ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტის ორკვირიანი საგზურით დააჯილდოვეს, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს გაეცნო, დაუმეგობრდა, მათთან ერთად დაათვალიერა ინგლისი, გაეცნო ინგლისის ისტორიას, კულტურას, მონაწილეობდა სხვადასხვა აქტივობებში, ესწრე-

*დასასრული მე-6 გვერდზე*

„შენი დვრიტა ვარ, დედულ-მამულო!...“

# ისინი წარმატებულნი არიან

„მერცხ-მეასმაყები“

## „მომეცით ნატვრის უფლება“

დასასრული

**ჩემი მესამე** სკოლა ,რა უნდა ვთქვა,უბრალოდ მოხარული და ბედნიერი ვარ ამ სკოლის ახლა უკვე მეცხრე კლასის მოსწავლე რომ ვარ ... მიყვარს ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ანა ჭიაბრიშვილი- ჩემი მეორე დედა, დამრიგებელი, რომელიც სიხარულით მიღებს გულს , მამხნევებს მძიმე წუთებში და უხარია ჩემი წარმატება,რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის ... მახსოვს პირველად,რომ შევედი მის საკლასო ოთახში და საუცხოო სცენა დავინახე – პატარა,სიყვარულით გაკეთებული,რომ წაეწერათ „ თეატრი“ ვიფიქრე აქ რატომ დგას მეთქი – არც მიკითხავს... დროის შემდეგ ჩემი პირველი დებიუტიც იქ შედგა... მერხიდან ამაყენეს, პატარა სცენაზე დამაყენეს და მთხოვეს წამეკითხა ჩემი შემოქმედება ... ახლაც ხშირად მთხოვენ ამას. მახსოვს ჩემი კლასელები და თვით ანა მასწავლებელიც როგორი ოვაციით შეხვდნენ ამ ყველაფერს. ხშირად მეუბნებოდნენ და კიდეც მეუბნებიან ჩემი კლასელები: „ერთხელაც შენი წიგნი გამოვა და ჩვენი შვილები რომ წაიკითხავენ,ვეტყვით: აი,ეს ჩემი კლასელი იყო – ნინო ბუზარიაშვილიო“ ... მაშინ ამ სიტყვების გაგონებისას გული სიხარულით ამევსო, უფრო მეტად შემემატა ძალა, ბრძოლის ჟინი იმისა,რომ მეწერა ... თუნდ უაზროდ,უშედეგოდ, უაპლოდისმენტებოდ,მაგრამ,უანგაროდ...

ხშირად აცხადებდა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ დებულებებს კლასში ანა მასწავლებელი... ყოველთვის,როცა დაიწყებდა მათ კითხვას, მე შემომხედავდა ... ახლაც ასე ხდება, იტყვის: – ბავშვებო,რაღაც საინტერესო მაქვს თქვენთვის სათქმელიო“... ის კი აუცილებლად შემომხედავს არ ვიცი რატომ,მაგრამ მისი თბილი თვალები,მეუბნებიან,რომ ის რაღაც საინტერესო ჩემთანაა კავშირში ...

ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს უსაყვარლეს პედაგოგს, მეგობარს, მრჩეველს, დიდი ენერგიით სავსე ქალბატონს თამარ ჯაბადარს, რომელიც დიდი ენთუზიაზმით მაცნობს სხვადასხვა აქტივობებს, პროექტებს, ღონისძიებებს და ცდილობს ჩემი სახელი უფრო დაამახსოვროს საგარეჯოს და არა მარტო საგარეჯოელებს ... ამასთანავე ანა მასწავლებელიც დიდი ენთუზიასმით ცდილობს ჩემს წარმოჩინებას ამისთვის კი ძალიან დიდ მადლობას გიხდით თქვენ ქალბატონო თამარ და ჩემო საყვარელო ანა მასწავლებელო,მადლობთ ამისთვის...!

უდიდესი მადლობა კი ქალბატონ თინა ილაურს მინდა გადავუხადო ,რადგან სულ პატარა, ჯერ ცხოვრებისაგან გამოუცდელი ვიყავი, მან რომ მთხოვა მისულიყავი მასთან და ჩემი შემოქმედება გამეცნო მისთვის... მახსოვს პირველად ჩემს დეიდაშვილთან ერთად მივედი ... სიხარულით შეგვეგება, სკამებზე დაგვსხა და გაზეთისთვის სურათები გადაგვიღო. შემდეგ ჩვენ ჩვენი შემოქმედება დავუტოვეთ და წამოვედით ... გაზეთის გამოსვლისთანავე მისი ჩემდამი პატივისცემა და სიყვარული მისმა სიტყვებმა გამოიწვია,რომ მიუწერებია ჩემი შემოქმედების მკითხველისათვის გაცნობამდე ... ჩემთვის ახლობელი მეგობრები და ნაცნობები გზაში შეხვედრისთანავე მეუბნებოდნენ,რომ ამ გაზეთის მეშვეობით გაეცნენ ჩემს შემოქმედებას და მაქებდნენ... ახლაც დიდი სიხარულით გადავშლი გაზეთს და ვიხსენებ იმ დროს,მახსენდება ჩემი ძველი , ახლა ჩემთვის გამოუსადეგარი შემოქმედება. მახსენდება ბებიაჩემი – ჩემს დეიდაშვილს მიეტანა სახლში გაზეთი და ბებიაჩემი გაცნობია ... წაკითხვისთანავე დიდი სიხარულით,სიამაყით ავსებია გული ...

სცენაზე ასვლისას მხოლოდ საკუთარი თავისა და შემოქმედების გაცნობის გარდა ვფიქრობ, რომ სცენაზე დგომა ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ვაი თუ ვერ გამოხვედი და ვერ შედგა შენი გამოსვლა გგონია, რომ ამით ყველაფერი დაშავდება – შეარცხვენ საკუთარ რეგიონს, მასწავლებელს, მშობლებს და ა.შ,მაგრამ,როდესაც პირიქით ხდება,უფრო ამაყობ იმით,რომ შენს გვერდში ასეთი ადამიანები დგანან,რადგან მათ გარეშე,ხომ არაფერი გამოგივიდოდა.

და ბოლოს ჩემს საუბარს ჩემივე ფრაზით დავასრულებ : „პოეტი თავისი პოეზიის გარეშე იგივეა,რაც დედამიწა ღერძის გარეშე... „

### მე უბრალოდ ვწერ

**დაღამდა**... ყველაფერმა ფერი იცვალა,გარემო ბინდმა მოიცვა,ცა ვარსკვლავებმა დაფარა. ერთი ვარსკვლავიც ვერ ბედავს ცის დატოვებას და ჩამოვარდნას ციდან,თითქოს ტკივილები ყურსასმენში ჩართულმა მუსიკამ დაფარა გულში. გაწვიმებას ველიიი... ალბათ,სულ ტყუილად! ღრუბლებმა ხომ სიყვარული ისწავლეს და აღარ იბრძვიან.ხელებმა იგრძნეს მუსიკის რიტმულობა და ჟრუანტელს გრძნობენ,თან წერენ. თითებმა დაღლილობა შენიშნეს,მაგრამ მაინც აგრძელებენ მოთხრობის წერას. არ იციან,რას დაწერენ, მაგრამ წერენ და წერენ. სახეზე დაღლილობა მემჩნევა, ვიცი,სარკეში ჩაუხედავად ვგრძნობ, რომ დავიღალე. ცა ჯერ კიდევაც ცდილობს გაწვიმებას,მაგრამ არა,არ წვიმს. სულგანაბულა გარემო. სიჩუმეს მხოლოდ ჩემი ნაბიჯების ხმა არღვევს.

მთვარე ნელ-ნელა მთის მწვერვალიდან ამოდის,ისევ ნათდება და ბოლოს მრგვალი ბურთივით ჩამოეკიდება ცას,მაგრამ ხელს მზე წაკრავს და დაბლა აგდებს ხოლმე. ვერ ვიტან დროს, ტყუილად ითვლის წამებსა და წუთებს და ჩვენი დაშვებული შეცდომების გამოსწორება აღარ შეგვიძლია, საუბედუროდ. ვერც ვაბრუნებთ იმ ბედნიერ წუთებს. დროს მხოლოდ უბედურება მოაქვს,გვართმევს დროდადრო საყვარელ ადამიანებს და გვავიწყებს წარსულს.

გულის ტკივილებს წამლები ვერ შველის. ადამიანები ისე ვტკენთ გულს ერთმანეთს, ვეღარანაირი წამალი ვერ გვშველის. ადამიანები ვართ,მაგრამ ადამიანობის ნაკვალევიც არ გვეტყობა. გავცეთ სიკეთე არა იმისთვის,რომ სიკეთით გადაგვიხადონ,ანგარების გარეშე გავაკეთოთ სიკეთე და ღმერთიც სიკეთით გადაგვიხდის აუცილებლად. მე უბრალოდ ვწერ,მაგრამ დადგება დრო და ჩემს სიტყვებსაც მიეცემა ფასი.

ღამეა და დრო ისევ აგრძელებს აბეზარობას. მოსაწყენია მარტოდმარტო ქალაქში ყოფნა, მხოლოდ ბეღურებს შეუძლიათ ჩემი წაყვანა იმ ცის კიდემდე,რასაც ჰქვია უსასრულობა...

...მე უბრალოდ ვწერ!...

*

**ფილტვის** კარიდან გამოდის ორი ვენა: სიყვარული და მონატრება, რომელთაც მოაქვთ გულში არტერიული სისხლის ნაცვლად - არეულობა .

***

*ზოგჯერ უბრალოდ,უნდა ადგე,*
*გული გაალო და მტრედებივით გააფრინო*
*ხალხი შიგნიდან.*

***

*პოეტებს*
*სულ სხვანაირი*
*სიყვარული*
*შეუძლიათ*
*აი, ისეთი,*
*გულის*
*მაგივრად*
*ფურცლებს*
*რომ*
*აწამებენ,*
*ცრემლიანი*
*თვალების*
*მაგივრად*
*მელანს*
*რომ*
*ცლიან,*
*გაბზარული*
*გულის*
*ნაცვლად*
*ღამეს*
*რომ*
*ბზარავენ და*
*უიმედო*
*იმედებით,*
*მაინც*
*იმედიანად*
*იხედებიან გარეთ,*
*იმ იმედით,*
*რომ ვიღაც დახვდებათ.*

***

*არ მიყვარს, როცა საუბრის თემას ცვლიან*
*მონეტები...*
*არ მიყვარს,როცა ადამიანს ამ ჟანგიანი*
*მონეტებით აფასებენ.*
*არ მიყვარს,როცა ყველაფერი იცვლება*
*მონეტებზე,*
*არ მიყვარს, ხოო,ეს ჩემთვის უჩვეულო*
*მონეტები,*
*როგორ შემიძლია,ასე ვიჯდე,ვფიქრობდე და ვწერო, როცა შესაძლოა ამ ლექსშიც კი ჟანგით სავსე მონეტები გადამიხადონ...*

## გზა, რომელსაც შენ მიჰყვები...



დასასრული

ბოდა გაკვეთილებს...

ახალგაზრდა,რომელზედაც ახლა გესაუბრებით და გაცნობთ, საგარეჯოელი ილია კურდღელაშვილია, რომელმაც საგარეჯოს სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და ერთიანი ეროვნული გამოცდებიც საკმაოდ მაღალი ქულებით გადალახა. ილია თბილისის მ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის მიმართულების პირველკურსელი და თანაც 100%-იანი გრანტის მფლ;ობელი გახდა. მის აღზრდა-ჩამოყალიბებაში კი მართლაც დიდი როლი დედას – ნანა ესაიაშვილს – საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ბიბლიოთეკარს მიუძღვის,რომელმაც შვილს რაც შეეძლო და რაც მეტად ღირებულია დღევანდელობაში – დიდი სულიერება მისცა საგზლად... თავად ილიაც ამას ამბობს:

– დედამ გაიღო ის,რაც ქართველ ქალს, ქართველ დედას შეუძლია გაიღოს შვილისათვის – ჩემშისაძირკველი, საფუძველი ჩაუყარა სიყვარულს, სიყვარულს უფლის, ადამიანების, სიცოცხლისა და ადამიანურად ცხოვრების წესის.

... სასიხარულოა და საამაყო – გზა, რომელსაც შენ მიჰყვები ილია,დედისგან კურთხეულია და იგი ქართველობის,კაცთმოყვარეობის, წარმატებების დიდ, ფართო გზაზე გაგიყვანს... წარმატებები და გამარჯვებები ამ გზაზე...

ჭადრაკი

მოთამაშის გამარჯვებისათვის

# ნინო ჯერ ფედერაციის თასისათვის იბრძოლებს



**წელს** 8 წლის ნინო ესაიაშვილმა (მწვრთნელი ნანი უნაფქოშვილი) კარგად გაიკვალა გზა ჭადრაკის სამყაროში. აგვისტოში გამოცდილება მიიღო „რაჭა-2016“-ში მონაწილეობისას, სადაც 8-16 წლამდე ასაკის ბავშვები ერთმანეთს ფესტივალის პირველობისათვის ეპაექრებოდნენ. რაჭის ფესტივალში ქუთაისის,დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის,თბილისის,გორის,საგარეჯოს მოჭადრაკეები იყვნენ წარმოდგენილი. ნინოსთან ერთად ზუკა გამრეკელაშვილიც (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) მონაწილეობდა. ნინომ თავდაპირველად თამაში დიდი ენთუზიაზმით დაიწყო,მაგრამ ბოლოს თავის თავში დარწმუნებულმა (რადგან მეტოქეები მასზე მეტად სუსტები იყვნენ),ტემპი შეანელა და 7 შესაძლებლობიდან 5,5 ქულა აიღო – ბოლო ტურში მარცხი განიცადა. გული დასწყდა,რადგან ზუკაც და ნინოც თამაშის დაწყებისას ლიდერები იყვნენ,შემდეგ კი II ადგილს დასჯერდნენ.

ახლა ნინო ჭადრაკის ფედერაციის თასისათვის ემზადება,რომელიც სექტემბრის ბოლოს თბილისში გაიმართება. მისი ოცნებაა ოქტომბერში მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო პირველობაზე,რომელიც ბათუმში ჩატარდება. ნინოს აზრით,ასეთი შანსი მას ვინ იცის,როდისღა მიეცემა – მსოფლიო პირველობაა საქართველოში. ნინოს და მის მწვრთნელსაც უხარიათ,– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორი გია მაისურაძე ყველანაირად ცდილობენ ნორჩი მოჭადრაკეებისათვის ხელის შეწყობას. ამიტომაც დიდ მადლობას უხდით მათ თანადგომისათვის,განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გზირიშვილს.



ნინო სერიოზულად ემზადება მომავალი თამაშებისათვის,თუმცა ჭადრაკით დაინტერესებულ პატარებთან დიდ დროს ატარებდა მთელი ზაფხული,რომლებსაც მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი ამეცადინებდა.




# სუდოკუ

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 8 | | | | | 5 | 1 |
| | 5 | | | 8 | | | 4 | 3 |
| | | | 5 | | 4 | 9 | | |
| 5 | | | | 4 | 8 | 3 | | 9 |
| | 6 | | | | | | 1 | |
| 8 | | 7 | 1 | 3 | | | | 4 |
| | | 6 | 4 | | 7 | | | |
| 9 | 7 | | | 1 | | | 3 | |
| 2 | 1 | | | | | 7 | 9 | 6 |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 8 | | 7 | | | 4 |
| | 4 | 8 | 5 | | | 2 | | |
| | | 5 | | 4 | | | 8 | |
| 5 | | 2 | | | 4 | | | 7 |
| | 7 | | | 3 | | | 2 | |
| 9 | | | 2 | | | 1 | | 8 |
| | 2 | | | 5 | | 8 | | |
| | | 3 | | | 8 | 4 | 1 | |
| 4 | | | 1 | | 6 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | 1 | | | 5 | |
| | | | | | 2 | 1 | | |
| 3 | 1 | | 8 | | | | | 2 |
| 5 | 2 | | 1 | | | | | |
| | | 9 | | 4 | | 5 | | |
| | | | | | 9 | | 3 | 7 |
| 2 | | | | | 7 | | 1 | 4 |
| | | 1 | 6 | | | | | |
| | 3 | | | 9 | | | | 6 |

„გარეჯის მაცნე“ №13-14-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 8 | 1 | 4 | 9 | 5 | 3 | 7 |
| 5 | 3 | 1 | 8 | 7 | 2 | 4 | 9 | 6 |
| 7 | 9 | 4 | 5 | 3 | 6 | 2 | 8 | 1 |
| 2 | 6 | 5 | 9 | 1 | 3 | 8 | 7 | 4 |
| 8 | 7 | 3 | 6 | 2 | 4 | 9 | 1 | 5 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 8 | 5 | 3 | 6 | 2 |
| 3 | 1 | 2 | 4 | 9 | 7 | 6 | 5 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 2 | 5 | 1 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 5 | 7 | 3 | 6 | 8 | 1 | 2 | 9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 2 | 5 | 9 | 7 | 3 | 4 | 6 |
| 6 | 3 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 9 | 5 |
| 5 | 9 | 7 | 4 | 3 | 6 | 8 | 1 | 2 |
| 7 | 5 | 8 | 9 | 2 | 1 | 4 | 6 | 3 |
| 1 | 6 | 3 | 8 | 7 | 4 | 5 | 2 | 9 |
| 4 | 2 | 9 | 3 | 6 | 5 | 1 | 7 | 8 |
| 9 | 7 | 6 | 1 | 5 | 3 | 2 | 8 | 4 |
| 2 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 | 6 | 3 | 1 |
| 3 | 8 | 1 | 6 | 4 | 2 | 9 | 5 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 5 | 4 | 1 | 7 | 3 | 8 | 6 |
| 8 | 1 | 6 | 5 | 3 | 9 | 2 | 7 | 4 |
| 7 | 3 | 4 | 2 | 6 | 8 | 9 | 5 | 1 |
| 4 | 8 | 9 | 7 | 2 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 6 | 5 | 3 | 8 | 9 | 1 | 7 | 4 | 2 |
| 1 | 7 | 2 | 6 | 5 | 4 | 8 | 9 | 3 |
| 5 | 9 | 7 | 3 | 4 | 6 | 1 | 2 | 8 |
| 3 | 4 | 1 | 9 | 8 | 2 | 5 | 6 | 7 |
| 2 | 6 | 8 | 1 | 7 | 5 | 4 | 3 | 9 |

### ახალი ლექსი

ნატო პაპუაშვილი

## კვლავ სკოლის ზარი



ქუჩაში გამაჩერა დიდი ხნის ნაცნობმა და
ტკბილი ხმით მოუბარმა გულწრფელმა ქალბატონმა;
სულ წამით გამახსენა ჩავლილი ბავშვობა და
ჩვენს შორის უნებური სიჩუმე გაბატონდა.
მითხრა: როცა გხედავ, ყოველთვის ასე ვფიქრობ:
სკოლაში კვლავ მიდისო პატარა გოგო;
ასაკი გემატება, მაგრამ არ იცვლებიო,
იქნებ საიდუმლოდ გამანდოო – როგორ?
კეთილად განწყობილმა თვალებში ჩამხედა და
გამოვტყდი, საიდუმლო ყველასთვის გამინდვია:
მე საქმის ერთგულება ფეხდაფეხ დამყვება და
სექტემბრის ზარის ხმაზე მთლად ფეხი ამიდგია!
სიყვარულს წაუშლია ამ გულის ყველა ბზარი,
ასაკის საიდუმლოც სწორედ რომ ამაშია;
და როგორც ბავშვობაში, კვლავ მიხმობს სკოლის ზარი
უფალი მოწყალეა, სიკეთეც ძალაშია!
კვლავ მიხმობს სკოლის ზარი, ეს მყოფნის ყველა ჩინად,
კლასში კი მელოდება რამდენი ბავშვის თვალი,
განგებამ თვითონ იცის, რისთვისაც გაგაჩინა,
ან რა გზით მოიხადო ამ ქვეყნად შენი ვალი!
გულწრფელმა ქალბატონმა ქუჩაში გამაჩერა,
ერთგვარი მოწიწებით ბავშვობა გამახსენა...

## სამუსიკო სკოლა პატარებს იწვევს

## ჩვენ წარმატებებზე ორიენტირებულები ვართ

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან ერთად 15 სექტემბერს სწავლას დაიწყებს საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლაც. გასული სასწავლო წელი წარმატებული იყო სკოლისათვის. სკოლის მოსწავლეთა წარმატებებზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია გაზეთის ფურცლებზე. გვინდა გითხრათ, რომ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ ივნისში ქ. თელავში ნ. სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ჩატარდა კონკურსი, სადაც მონაწილეობდნენ კახეთის რეგიონის სამუსიკო სკოლები. ამ კონკურსში საგარეჯოს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებიც მარიამ საგინაშვილი, (IV კლასი, პედაგოგი მარინა ურდულაშვილი), ნია დიღმელაშვილი (IV კლასი), მარიამ ყანდინაშვილმა (V კლასი), ნინო ყანდინაშვილმა (III კლასი) (სამივეს პედაგოგი თეა ხატიაშვილია) იღებდნენ მონაწილეობას და წარმატებით გაართვეს თავი. ჩვენი სკოლა კონკურსებში II ადგილზე გავიდა, ხოლო მოსწავლეები დაჯილდოვდნენ დიპლომით და სიგელებით. სკოლა არც ამჟამად აპირებს ჩვეული ტემპის შენელებას, პედაგოგები არ დაიშურებენ ძალას და ენერგიას, რომ ჩვენი სკოლისათვის კიდევ უფრო წარმატებული იყოს ახალი სასწავლო წელი.

სამუსიკო სკოლა ამჟამადაც ელოდება მომავალ მოსწავლეებს. საბუთების მიღება უკვე დაიწყო. მსურველებს შეგიძლიათ წარმოადგინოთ განცხადება დირექტორის სახელზე, დაბადების მოწმობის ასლი და ორი ფოტოსურათი. მისაღები გამოცდა ჩატარდება 27 სექტემბერს, დღის 1 საათზე.

*ლია ბურჯანაძე,*
***საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორი***

## ძიუდო

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე

## 2 პირველი და 1 მესამე

**ამასწინათ** ხაშურში ჩატარდა ჭაბუკთა შორის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატის კანდიდატთა შესარჩევი ტურნირი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. ჩემპიონატში ქვეყნის სხვა ძიუდოისტთა შორის გამოდიოდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების: მამუკა მათიაშვილის, ნუკრი გაგნიაშვილისა და გიორგი მასურაშვილის აღსაზრდელებით დაკომპლექტებული გუნდი. ორი პირველი და 1 მესამე საპრიზო ადგილი, ასეთია ჩვენებური ძიუდოისტების შედეგი ამ ტურნირზე.

ტურნირზე თავი გამოიჩინა და ჩემპიონი გახდა 57კგ წონით კატეგორიაში ამირან დარბაისელი. 75 კგ წონით კატეგორიაში ასევე ჩემპიონობა მოიპოვა ლაშა მათიაშვილმა, სოსო დურიშვილი კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 57 კგ წონით კატეგორიაში.

აქვე შეგახსენებთ, რომ ჭაბუკებში (1998-2000წწ) მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება რუმინეთში ა.წ. 8 ოქტომბერს.

*გ. დაბახიშვილი*

# სპორტი

### ფეხბურთი

## პირველი მატჩი – პირველი მოგება

**სექტემბრის** დასაწყისიდან მოქმედება განაახლა საქართველოს 2016 წლის ჩემპიონატის ფეხბურთის II ლიგის აღმოსავლეთ ზონის „დ“ ჯგუფის გათამაშებამ, რომელშიც მონაწილეობას იღებს ჩვენი მუნიციპალიტეტის გუნდი „გარეჯი“ (მწვრთნელები: დავით მაისურაძე – მთავარი მწვრთნელი, რამაზ ტეტიაშვილი, ლევან კონიაშვილი, გიორგი ილაური).

სპორტგაერთიანების ფეხბურთის მენეჯერის თემურ ხუციშვილის განმარტებით, ეს არის გარდამავალი ჩემპიონატი, რომელიც სექტემბერში იწყება და მთავრდება 30 ნოემბერს. ჩემპიონატში მონაწილე 15 გუნდს მოუწევთ 14-14 მატჩის გამართვა, 7-ის საკუთარ მოედანზე და ამდენივე – გასვლაზე.

ჩვენს ფეხბურთელებს I მატჩი საკუთარ მოედანზე რუსთავის „რუსთავი2“-თან ჰქონდათ, მაგრამ სტადიონის საფარის დაწუნების გამო თამაშის გამართვა ნეიტრალურ – სართიჭალის სტადიონზე მოუხდათ. მიუხედავად ამისა, მათ აღმავლობით ჩაატარეს თამაშის ორივე ტაიმი და დამაჯერებელი ანგარიშით 3:1 დაამარცხეს მოწინააღმდეგეები. მეტოქეთა კარში გატანილი გოლების ავტორები არიან **კოტე ლურსმანაშვილი (2) და ედგარ კაზარიანი.**

## „ფან-ფუტბოლი“ საგარეჯოს კვლავ ეწვია



**„ფან-ფუტბოლის“** – ღია საფეხბურთო სკოლის პროექტი 1999 წელს დანიელი ანდრეს ლევინსენის ინიციატივით დაფუძნდა, როცა შეიქმნა დანიური პოლიტიკურად დამოუკიდებელი არაკომერციული ორგანიზაცია Cross Cultures-ი. დღეისათვის იგი მოიაზრება მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ფოკუსირებულია საზოგადოებრივი სპორტისა და ღია სახალისო საფეხბურთო სკოლის პროგრამებზე. მისი ძირითადი მიზანი სამშვიდობო მისიაა: დაყოფილ საზოგადოებებში მცხოვრებ ბავშვებსა და მოზარდებში მეგობრობისა და სპორტული თანამშრომლობის გაღრმავება-გამარტივება, მასობრივი სპორტისა და ახალგაზრდული თამაშების ნებაყოფლობითობის საწყისების განვითარება, სქესთა თანასწორობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა, ადგილობრივი საზოგადოებრიობის მომიჯნავე სექტორში კრიმინალის თავიდან აცილება და ა.შ. და ამ საქმეში საზოგადოების ფართო ფენების , მშობლების, სკოლის,, სამართალდამცავი სტრუქტურების ჩართულობის გაღრმავება.

1999 წლიდან სადღეისოდ ღია სახალისო საფეხბურთო სკოლის საერთაშორისო პროგრამაში გაერთიანებულია მსოფლიოს 22 ქვეყნის 1 მილიონზე მეტი მონაწილე და 75000 მწვრთნელი-მოხალისე. პროექტის ძირითადი სპონსორები არიან UEFA, შვედეთის, ნორვეგიის, დანიის მთავრობები, fc ბარსელონას ორგანიზაცია, სოკარი, velux Fondation. novo nordist-ი და სხვა პარტნიორები. ამ პროექტის საქმიანობა საგარეჯოელებმა და ჩვენი მუნიციპალიტეტის მოზარდებმა 6-7 წლის წინ გაიცნეს, როცა საგარეჯოს სტადიონზე ქალაქისა და ჩვენი სოფლების ბავშვებისათვის ამ პროგრამის ფარგლებში გაიმართა მათთვის საინტერესო და გასართობი თამაშები.

4 სექტემბერს მუნიციპალიტეტის 192 ბავშვი და მოზარდი კვლავ შეიკრიბა საგარეჯოს სტადიონზე ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად. პროექტის განხორციელების ძირითადი ორგანიზატორი და პარტნიორი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური გახლდათ, რომელთაც კიდევ ერთი სამახსოვრო დღე აჩუქეს ფეხბურთით გატაცებულ მუნიციპალიტეტის პატარებს.

– საქართველოში 2003 წლიდან წარმატებულად ხორციელდება კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის საკითხი „სახალხო ფეხბურთის ღია სკოლები“ – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის აღნიშნული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა* ლაშა იაკობიძემ.** – სახალხო ფეხბურთის ღია სკოლები, როგორც სოციალურ თუ პოლიტიკურ ასპექტში. მუდამ იყო სამშვიდობო მისიის მატარებელი და ორიენტირებული არაა ნიჭიერი და პერსპექტიული ნორჩი ფეხბურთელების გამოვლენაზე. 2013 წლის ოქტომბრიდან პროექტს დაემატა სავალდებულო მოთხოვნა – სპორტი+სკოლა+პოლიცია. სწორედ ამ ახალი მოთხოვნის გათვალისწინებით ჩატარდა ჩვენი ამჟამინდელი თამაშები, მაშინ, როცა წინა წლებში საგარეჯოში ჩატარებულ ღონისძიებებში მხოლოდ სპორტისა და სკოლის ურთიერთკავშირზე იყო გამახვილებული ყურადღება.

ფეხბურთში და სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში, როგორც ადრე,ც ჩვენი ქალაქისა და სოფლების სპორტითა და ფეხბურთით გატაცებული 192 მოზარდი იღებდა მონაწილეობას. სპორტული აქტივობების მიხედვით, სტადიონი დაყოფილი იყო 12 კვადრატად. თითო კვადრატში მონაწილეობას იღებდა 12-12 მოზარდი, ისე რომ, დაწყებული 1 კვადრატიდან თამაშით მოივლიდნენ თორმეტივე კვადრატს, საბოლოოდ კი ყველა თავს იყრიდა საგანგებო მე-13 კვადრატში, სადაც მათ საპატრულო პოლიციის მანქანასთან პოლიციის მუშაკებმა ჩაუტარეს საუბრები სამართალდაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების, პოლიციის დანიშნულებისა და სხვათა შესახებ, მათთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

ასევე, პროექტის ფარგლებში მონაწილე ბავშვებისათვის მოეწყო უფასო ერთჯერადი კვება, ბოლოს კი ყველა დასაჩუქრდა სპორტული ფორმით და გადაეცათ სამახსოვრო დიპლომები.

საგარეჯოს სტადიონზე ჩატარებულ სახალისო ფეხბურთის ღია სკოლის პროექტის მიმდინარეობას ესწრებოდნენ ამ პროექტის საქართველოს წარმომადგენლობის მუშაკები, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელები, გამგეობის სპორტის მთავარი სპეციალისტი ლაშა იაკობიძე, ახალგაზრდულ საქმეთა სპეციალისტი ირაკლი თულაშვილი და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

*გ. დაბახიშვილი*

---

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ამავე საკრებულოს თანამშრომელს თამარ ურდულაშვილს მამის

**ფირუზ ურდულაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანება“ თანაგრძნობას უცხადებს ამავე გაერთიანების თანამშრომელს მერი მჭედლიძეს მეუღლის

**მურმან მჭედლიძის**

გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru